

ახალი ლენსუმი

პროექტი
გეგმვა

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

იოანეს სახარება

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი: №57/1-180

იანვარი №22 (16) ღარი 30 თეთრი

წმინდა ილია გარდაცემის დასწრებით გლოვობა

რისთვის გვიხარია იესო ქრისტეს შობის დღე, რისთვის არის ყოველწლივ სიხარულით და ლოცვით მისაგებებელი, რისთვის არის საღვთისა-წაულო დიდისა და პატივისათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალეებისა და ყოვლად მხსნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგუმის-მცემელი უძლეულისა და უღონოსი, დავდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვითა შემწყნარებელი, მაშვრალთა და გერთმძიმეთა მეოხ-პაგრონი და მოწყალეობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შემინებული გონება და გაღვიძებული გრძნობა... ვით მამა ბეცის იყავ შენ სრულით, — უმოდვრა კაცს და ამით გვაძენო, რომ კაცის შემძლებელ არის აღსვლად ღვთაების სისრულემდე.

სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი, ესეც ახალი წელიწადი: ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისათვის ღონე ღონეს გადავავაბთ. მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევი-ნებით, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა მსურს. ვიმხნეოთ ერთადერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით, ვინც მხნეა, ის ძლიერია.

მამ, „მხნე იყავ გაძლიერდი!... აი, ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნაგერა.

ილია ჭავჭავაძე

გილოცავთ!

თითოეული ჩვენგანი დიდებული ზეიმის — ქრისტეშობის მონაწილენი ვართ. როგორც ვიცით, უფლის ამქვეყნად მოვლინების პირველი მაუწყებელი იყო უჩვეულოდ კაშკაშა ვარსკვლავი, რომელმაც წინამძღვრობა გაუწია ბრძენ მოგვებს აღმოსავლეთიდან ვიდრე ბეთლემის გამოქვაბულამდე.

იღუმელი ღამის სიწყნარე დაარღვია ელვარე ნათლით მოსილმა ანგელოზთა საგალობელმა: „დიდება მადალთა შინა ღმერთსა ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

რწმენით, სასოებით და სიყვარულით აღვსილი ყველას გულითადად გილოცავთ ქრისტეშობის დიდებულ ზეიმს. ეს ჩემი პირველი დალოცვაა ეპარქიის მოსახლეობისადმი. გისურვებთ, თითოეული თქვენგანის გულში განუშორებლად სუფევდეს უფალი ჩვენი. მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა, იყვენ თქვენ ყოველთა თანა. ამინ!

უღრმესი პატივისცემით და დიდი სიყვარულით, ცაგერისა და ლენტეხის ეპისკოპოსი **სტეფანე**.

ძვირფასო ლენსუმელებო! სულითა და გულით გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ახალი წლის შემობრძანებას ღვთიკურთხეულ ქართულ მიწაზე. გისურვებთ მშვიდობას, ბედინერებას, სიხარულს, ბარაქას; საქართველოს გამთლიანებისა ყოფილიყო 2003 წელი.

ისტორიის კუთვნილება გახდა კიდევ ერთი კალენდარული წელიწადი. მაინც რით დაგვამახსოვრა თავი? სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: ისე როგორც მთლიანად ქვეყანაში, ლენსუმშიც იყო გაჭირვება, სიმძნელები, პრობლემები — სოციალური, ყოფითი, ეკონომიკური...

და მაინც არ იყო უფერული განვლილი წელი ლენსუმელთათვის: გვეწვია საქართველოს პატრიარქი ილია მეორე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, რაიონში შეიცვალა საერო და სასულიერო ხელმძღვანელობა. შემთხვევით არაფერი ხდება და ყოველივე ეს ვფიქრობთ, სიკეთედ, სიხარულად, ახალ საქმეებად დაგვებდება. ეს კი მოხდება ურთიერთთანადგომით, სიყვარულით, უფლის ნებით, უფლის შეწვევითა და მადლით.

რაიონის გამგეობა ძალისხმევასა და ენერგიას არ დაიშურებს, რათა ახალი წელიწადი მთლიანად ლენსუმისათვის, თითოეული ოჯახისათვის, თითოეულ თქვენგანისათვის იყოს ბედნიერი, წარმატებული, რაიონის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯების წელი.

ერთხელ კიდევ გილოცავთ!

ცაგერის რაიონის გამგეობა

შობა-ახალ წლის შემობრძანებას გილოცავთ ძვირფასო ლენსუმელებო! სვებედნიერი და ფეხბედნიერი ყოფილიყო 2003 წელი ჩვენი საქართველოსთვის, ჩვენი ლენსუმისათვის. ჯანმრთელობა, ზვავი, ბარაქა, შვილთა სიმრავლე დაგვებდებოდეთ, უკეთესი მომავლის რწმენა არ დაგეკარგოთ, ერთმანეთი გვევარებოდეთ და რაც მთავარია, ღმერთს ჰყვარებოდეთ თითოეული თქვენგანი.

მრავალჯამიერ თქვენი სიცოცხლე!

დიდი სიყვარულით საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტის აპარატის-მ მუშაუდინი.



გილოცავთ
ახალ წელს!

ჯეორჯიან სოფლის ქვეყნის,
სეფიში ვიდეო თემატის,
აქ იმერეთის ქვეყნის,
იქით რაქა-ფოქსის.

ჩვენ სიძლიერის მეფისა,
რომ სეფი ვერ ახდით,
ჯეორჯიან სოფლის ქვეყნის,
ვანში-სეფის ახდით.

ვანში-სეფის

დეკუტატი ანგარიშს აბარებს

თარიღი: 2003 წლის 11 იანვარი

არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ საქმე-საკეთებელს ჩუმად, უპრეტენზიოდ აკეთებენ, იმ პრინციპით სარგებლობენ - კარგი ქმენი, ქვანახ და შედეგს ნუ დაელოდები. ადამიანთა უმრავლესობა კი გაკეთებულის აფიშირების მომხრეა... ალბათ ამანაც განაპირობა ბატონი დეკუტატის, კარლო მუშუქლიანის წერილობითი შემოხმარება ჩვენთან, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

„პირველ რიგში მსურს მოგილოცოთ ახალი, 2003 წლის შემობრძანება. გისურვოთ განმრთობა, სიუხვე, გამრავლება. იხაროს თითოეული ოჯახის ჭერმა. ღმერთი გფარადეთ!

მე თავს ვაღიქვამდი ვეღვი, ჩემი დეპუტატობის მეოთხე წელიწადს კიდევ ერთხელ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც თითოეულმა ლეჩხუმელმა ჩემდამი გამოხატა. ამ არჩევანმა პირადად მე მომიტანა რწმენა იმისა, რომ თქვენთან ერთად შეიძლება ხალხის საკეთილდღეოდ საქმე შეკეთდეს.

მერწმუნეთ, ძნელია რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობა: ხალხს უსვამ „მაჟორიტარს“ რადგან პარტიული სიით გასული დეპუტატებისაგან განსხვავებით ჩვენ პარტო კანონშემოქმედებითი მუშაობა არ გვეუფინის, რადგან თითოეული მოქალაქის, თვით რაიონული პრობლემებითაც ვართ დატვირთულნი.

დეპუტატობა, ეს ხელოვნებაა. მასში ერთმანეთთანაა შერწყმული ნიჭი, გამოცდილება და ხალხის სიყვარული. დეპუტატი უნდა ფლობდეს აღმასრულებელი ხელისუფლების თითოეულ წევრთან ადამიანური და სამიანი კონტაქტების დამყარების ხელოვნებას. ეს უკანასკნელი კი მოგვსენებათ ძალზედ სწრაფად იცვლებიან. დრო კი უღმომღალად გარბის და ასე გაირბინა ამ სამმა წელიწადმა...

ძვირფასო ლეჩხუმელებო! გადაწყვიტე გაზეთ „ახალი ლეჩხუმი“ მეშვეობით წერილობით მოემართა თქვენთვის. მართალია, თითოეული წერილმანის ფურცელზე ღატანა ძალიან გაჭირდება, მაგრამ ძირითად საკითხებზე მაინც გაგესაუბრებოთ:

—არჩეული ვარ პარლამენტის ორი კომიტეტის შემადგენლობაში, ვარ ფრაქცია „მაჟორიტარების“ პასუხისმგებელი მდივანი. ჩემი დეპუტატობის ამ პერიოდში უშუალო მონაწილეობა მივიღე 14 კანონის შემუშავებაში. დიდი ძალისხმევით შედეგად მივაღწიეთ კანონის ამოქმედებას (2002 წლის 1 იანვრიდან). რომელიც მაღალმთიანი რაიონის სოფლის მოსახლეობის განთავსების საკითხს ეხება. ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადისაგან. მოსახლეობას არ ეკუთვნის მიწის ნარჩენი ღირებულების გადახდა. აღსანიშნავია კანონი, რომელიც 2002 წლის 18 აპრილიდან შევიდა ძალაში... იმისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის ელექტროენერგიის შეღავათების გავრცელების შესახებ. პედაგოგების 30%-ით ხელფასების გაზრდა უკვე შედგა სექტემბრიდან, იანვრის თვიდან კიდევ 30%-ით გაიზარდება, მნიშვნელოვანი კანონია შემუშავებული საქართველოს ავტოსაგზაო შემწეობისა და რეფორმის შესახებ, კანონი ზე-ტყის მოხმარების თაობაზე და სხვა.

მართალია, კანონები მრავალ შემუშავდა და ამოქმედდა, მაგრამ მთავარია როგორ მოირგებს მას ესა თუ ის მხარე, რაიონი და მისი ხელმძღვანელობა,

როგორ გაატარებს მას ყოველდღიურ საქმიანობაში. მიმაჩნია, რომ უმოქმედობა და შიში შენი სუბიექტური აზრის გამოხატვისა, ჩვენი ყველაზე ცუდი მეგობარია. უფრო მეტიც, უმოქმედობა და შიში საკუთარი ღირსების დაღატაკს უდრის. ბნელი ძალა, რომელიც არა მარტო რაიონს, არამედ რესპუბლიკას უჭადის დაქვემდებარებას და კრიმინალურ კლანად გადაქცევა, რათა მოხდეს თითოეული ჩვენი ხალხის იგნორირება და გაბრიყვება, ამისათვის კი ისევ ბანკის ჭიბიდან ამოცლილი ფული იხარჯება. ამიტომ ყველანი ერთად უნდა დავდგეთ. ნებისმიერი საქმიანობის დაგვირგვინება მხოლოდ ერთად დგომით, თქვენი სახალხო მხარდაჭერითაა შესაძლებელი.

მე გულწრფელად გეტყვით—მეგონა მეტის გაკეთებას შეეძლებოდა. ჩემი პროგრამის მთლიან რეაბილიტაციაზე ვმუშაობ, რასაც დეპუტატობის ვადამდე მწამს შევასრულებ. (გარდა ზოგიერთი თვისის საჭიროებებზე გვერდითი გაზის საბადოსა სოფელ ლარჩაულში, საიმიერო სამუშაოები იმ უბრალო მიზეზით ვერ ამოქმედდა, რაც სახელმწიფოს სასტრუქტურის ნაკლებობითა და ბიუჯეტის შეუსრულებლობითაა გამოწვეული)...

ძნელი და რთული გამოდგა დღევანდელ პირობებში მუშაობა. დაპირისპირების ბუმი ისევ ბიზნესორებს, რომელსაც დიდი ძალა და უამრავი დრო მიატყვს, მაგრამ არც ესა დაუძლეველი პრობლემაა. მწამს, თქვენთან ერთად ამასაც მოვრევე.

აი, მივადექი იმ ძირითად საკითხებს, რომელიც თქვენ უნდა გითხრათ—რა გაცეთდა ჩემი უშუალო ძალისხმევით 1999 წლიდან დღემდე:

—1999 წელს დაიმუქრა ცაგერის-ორბელი გზის მონაკვეთი. პრეზიდენტთან ჩემი უშუალო შესვლის შემდეგ ამ გზის შესავეთებად გამოყოფა 300 ათასი ლარი საკუთარი ფონდიდან და გზის ეს მონაკვეთიც აღსდგა;

—კაპიტალურად შეკეთდა ლუხვანის სკოლის შენობა;

—სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ცაგერის საშუალო სკოლის ზედა კორპუსს;

—კაპიტალური რემონტი გაუკეთდა ტეშის საშუალო სკოლას;

—აღდგენილი იქნა ცაგერის წყლის სათაო ნაგებობა;

—შეკეთდა ქალაქის კანალიზაციის სისტემა;

—ჩემი უშუალო ჩარევით უფასოდ და შეღავათიან ფასებში გაუკეთდა ოპერაცია 88 ლეჩხუმელს;

—რაიონულმა საავადმყოფომ მიიღო სასწრაფო დახმარების მანქანა;

—ერთი სასიამოვნო სიახლეც—ამ დღეებში რაიონულმა საავადმყოფომ რენტგენის დანადგარი ჩამოიტანა;

—რაიონული ბიუროს აპარატში და თვით პარლამენტში შევხდი 849 მოქალაქეს და სახელმწიფოებრივი შესაძლებლობის ფარგლებში მოვახერხე მათ მიერ დაყენებული საკითხების უმრავლესობის გადაწყვეტა.

—შეკეთდა რაიონული გზების 60%;

—სტეპისაგან მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 2001-2002 წლებში გამოიყოფა გარკვეული თანხა, რომლითაც შეკეთდა და სამუშაოები მიმდინარეობს ლასურისა და გზის მონაკვეთზე. სამუშაოდ, თანხების სიმცირის გამო არ ხერხდება იმ მოცულობის სამუშაოების წარმოება, რომ მთლიანად ლიკვიდირებული იქნას ზარალი;

—„საქავტოგზის“ დეპარტამენტის მუდმივი მხარდაჭერითა და თანადგომით გამოიყოფა თანხა ცენტრალური გზების ორმული შეკეთებისათვის;

—ბოლო წლებში ფინანსთა სამინისტროსთან ჩემი უშუალო კონტაქტებით მივაღწიეთ იმას, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყოს ხელფასებისა და პენსიების დეფლიანებები;

—დიდი ძალისხმევით შედეგად არა მარტო შენარჩუნდა განათლებისა და კულტურის მუშაობის რაოდენობა, არამედ გაიზარდა საშტატო ერთეულები ჩვენი შეპირებული მოსახლეობის სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად; მარტო განათლების სისტემის ცენტრალური ტრანსფერიდან დამატა 100 000 ლარზე მეტი.

—აღსდგა ესთეტიკური აღზრდის ცენტრი, რის შედეგად ჩვენი ბავშვები ჭოროგრაფიულ ჯგუფებში უფასოდ ეუფლებიან ქართული ცეკვის ხელოვნებას;

—უშუალოდ ვთანამშრომლობ ე.წ. სასურსათო პროგრამის ქუთაისის განყოფილებასთან, რომელთა მხარდაჭერით 2001 და 2002 წელში რაიონის ყველა საკრებულოში სოფლის გზები შეკეთდა;

—მიუხედავად მავნათა მცდელობისა და საიზიარებისა გაუქმებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოსამზადებელი განყოფილება, ის კვლავ ფუნქციონირებს და 1995 წლიდან დღემდე 509 ახალგაზრდა ჩაირიცხა სხვადასხვა სპეციალობებზე.

—სამედიცინო და სახელმწიფო უნივერსიტეტების მოსამზადებელ განყოფილებებზე 2002 წელში მაჟორიტარების მოთხენით გამოგვეყო 15 ადგილი სხვადასხვა სპეციალობებზე. მ/წელში ჩაირიცხული იქნა 17 ახალგაზრდა მომდევნო წლებში ეს სიკეთეც გაგრძელდება.

—დაიწყო „ლაჯანურპისის“ რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელზეც 18 მილიონი დოლარი დაიხარჯება და ორი წელიწადისაგან დასრულდება. იმის გამო, რომ რესპუბლიკური ბიუჯეტის შეუსრულებლობა ქრონიკულ ავადმყოფობად გადაიქცა, ვერა და ვერ მოვახერხეთ დამწვარი მუზეუმის აღდგენითი სამუშაოების დაწყება, ენერგოტარაფის შემცირება და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა;

კიდევ მრავალი საკითხი იქნა ჩემს მიერ თითოეულ ინდივიდთან მოგვარებული, აღარ მინდა გადაგვართო და ორიოდ სიტყვა ჩემს სამომავლო გეგმებზეც გითხრათ:

—ძალზედ გჭირდა და გაჭიანურდა „რაჩხაპისის“ მშენებლობის დაწყება, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაგრამ 2003 წლის ივლის-აგვისტოში მშენებლობა დაწყებული იქნება. მისი სიმძლავრე 5 მეგავატი, მშენებლობის ხანგრძლივობა 2 წელი, მშენებლობის დაწყების შემდეგ დამატებითი გაცნობებით.

—მიმდინარე წელს კაპიტალური შეკეთება ჩატარდება რაიონული საავადმყოფოს ძველ კორპუსს;

—მ/წელს კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება ჩატარდება სასოფლო გზებს, რომელთა შეკეთება არ მოხერხდა სასურსათო პროგრამის გზებს, რომელთა შეკეთება არ მოხერხდა სასურსათო პროგრამის მეშვეობით. გზების ჩამონათვალის შესახებ გაცნობებით დამატებით;

—მ/წლის მისის თვიდან გადაწყვეტილი იქნება „ლაჯანურპისის“ მრავალრიცხოვანი კოლმეტივის სოციალური საკითხი, ისინი არა მარტო შეუფერხებლად მიიღებენ ყოველთვიურ ხელფასს, არამედ მათთან შეთანხმებული გრადიენტის მიხედვით, პარალელურად დაიწყება სახელფასო დავალიანების დაფარვა;

—მ/წელს კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება გაუკეთდება შედეგ სკოლებს: ლიჩხის, ნასპერის,

ზოგიშის, საირის, უსახელის, ჩხუტელის, ლაქტუშის, მახაშის, ჭალისთვის, ბარდნალის, ოყურეშის, ისუნდრის და მახურის.

—მ/წელს ასევე რემონტი ჩატარდება: ჩხუტელის, ქალაქ ცაგერის №2, ბარდნალის, ლასურისა და ბაგა-ბაღებს.

—მ/წელს რემონტი ჩატარდება ასევე ნაკურალეშის, ორბელის, ლილაშის, ლასხანის სასოფლო კლუბებს.

—მ/წელს ლაღო ასათიანის სახლ-მუზეუმში;

—მ/წელს რემონტი გაუკეთდება სამხატვრო გალერეას;

—მ/წელს რემონტი ცაგერის სპორტულ დარბაზს;

—მ/წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს;

—ცაგერის მუსიკალურ სკოლას;

—დაიწყება ენერგოგრაფიული დამწვარი შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

—შეკეთდება სოფელ თაბორის წყალსადენი;

—სოფელ ორბელსა და ლაქანის მცხოვრებთა დაცვისათვის აიგება ნაპირის დამცავი ჭები;

სულ ამ სამუშაოებზე დაიხარჯება 350-400 ათასი ლარი.

ჩემი სადეპუტატო ვადის დამთავრებამდე ზემოაღნიშნულ საკითხებს გადაწყვეტის გარდა, აუცილებლად მიმაჩნია ყველაფერი გაავსეთო იმისთვის, რომ მიღებულ იქნას კანონი თანამდებობის პირთა დაუსაბუთებელი ქონების სახელმწიფოების დაბრუნების შესახებ, რათა საქართველოს დარჩენილი ნაციონალური სიმდიდრე ფსევდო „პრივატიზაციით“ კვლავ გროვებოდ არ ჩაიგდოს ხელში რამდენიმე პირმა;

—ვეფერობ, რომ იმუნტიტი დეპუტატს არ უნდა ჰქონდეს, ან ის უნდა იყოს უკიდურესად შეზღუდული, რათა სრულად გაუთიანდეს ნებისმიერ მოქალაქეს, იმუნტიტის მოპოვებისთვის დეპუტატობის სურვილი არავის არ უნდა გაუჩნდეს, ამიტომ აღნიშნული კანონის მიღებაც აუცილებლად მიმაჩნია.

როცა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლები დრო რჩება, ხშირია შეკითხვები ჩემთან—ვაპირებ თუ არა მომავალში კვლავ ვიყარო კენჭი ჩემს რაიონში. ძნელია ამ საკითხზე რაიონის მოსახლეობასთან, აქტივობა, დეპუტატის ბიუროსთან და საბჭოსთან შეთანხმების გარეშე პასუხი გავცე.

ალბათ ის ნამდვილად გწამთ, რომ მეც თქვენაირად, ძველებურად და რომ იტყვიან ჩვეულებრივად ვცხოვრობ. ჩემი მუშაობის პერიოდში იმით ვარ კმაყოფილი, რომ არასოდეს მიღალატია ჩემი სინდისისთვის, ოჯახისთვის, თქვენთვის, ჩემი ამომრჩევლები! უდიდესი ტვირთია დეპუტატობა და პასუხისმგებლობა, გადატვირთული ყოველდღიურობა და მუშაობის არაორდინალური რეჟიმი. არანაირი განსაკუთრებული პრივილეგიებით არ ვსარგებლობ...

დაბოლოს, მინდა გითხრათ—უდიდესი სურვილი მაქვს იმისა, რომ სამართლიანობა გახდეს თითოეული ჩვეყანის ცხოვრების წესი, არ დავკარგოთ საკუთარი ქვეყნის უცეთით მომავლის რწმენა—ი მიზანი, რითაც უნდა ვიყოთ ერთი ჩვენი ცხოვრების მანძილზე, რათა დავანახოთ ყველას, რომ ფულზე არ იყდება ქართველი კაცის უცეთის მომავლის რწმენა და თქვენი ღირსება.

პატივისცემით, პარლამენტის წევრი
მაჟორიტარი დეპუტატი
კარლო მუშუქლიანი

ინტერვიუ

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ინტერვიუ მრავალსიმომცველია, ბატონმა კარლომ მასთან აღუდინებია ჩემი მიგვიჩი... ამრიგად, ჩვენი რესპონდენტი ისევ მაჟორიტარი დეპუტატი კარლო მუშუქლიანია, რომელსაც ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოვართვით.

—ბატონო კარლო, ბოლო პერიოდში პარტიათა მრავალფეროვნება შეიმჩნევა ჩვენს რაიონში. საჩუქრის-მიმტრის იქნება რაიონისთვის?

—საერთო სიტუაციიდან გამომდინარე, პარტიებს ისეთი ხალხი აფარებს თავს, რომლებსაც პოლიტიკის არაფერი ესმით და არც ქვეყნის მდგომარეობა აღელვებს. პარტიებს ხალხი შემთხვევითად შემთხვევად, ე.ი. არჩევნებისთვის სჭირდება. მათი მიზანი ერთია—პარლამენტში მოხვედრა, მხოლოდ პირადული შედის მათი ინტერესის არეალში.

—ახალ შექმნილ მოქალაქეთა კავშირზე რა აზრის ბრძანდებით? თქვენი პოლიტიკური ორიენტაციაც საინტერესოა...

—პარტია მისაღება მაშინ, როცა ის ხალხზე ზრუნავს. მოქალაქეთა კავშირი სამთავრობო პარტიაა. რაც კეთდება მათი დამსახურება, რაც არ კეთდება ისიც მისი დამსახურებაა. ამ პარტიაში რამდენიმე ძლიერი პოლიტიკოსია, რომელთაც პარტიეს გვეთ, უპირატესობას ვანიჭებ და ჩემი ორიენტაციაც ექვითა მიმართული. მთავარი კი ისაა, რომ ლოზუნგად არ დარჩეს დანაპირობი.

—ზოგიერთი პარლამენტარი ნაცვლად იმისა, რომ დეპუტატის ფუნქციები შეასრულოს, მუშტი-კრიკში ეგვირბიან ერთმანეთს. თქვენ ამ მხრივ ნამდვილად მისაბამი ვაგალითი ბრძანდებით. რა შეფასებას მისცემდით კუთხივარი კოლეგების საქციელს?

—არის ორი მომენტი: სამუშაოდ, პარლამენტში არიან შემთხვევითი მოხვედრილი ადამიანები, რომელთათვისაც შეუარაცხეფელი სიტუაციები და ცემა-ტყუპა მისაღება.

—ჩვენთვის ცნობილია, რომ ტელეკომპანია „რუსთა-2“-ზე გამოიბრძანდით. რა თემაზე ისაუბრეთ?

—მინდა გითხრათ, რომ მაჟორიტარი დეპუტატების მოთხოვნების მერ-ნაკლებად აკმაყოფილებს მთავრობა. ჩვენი აქტიური მონაწილეობით რაიონი გავათავი-

სუფლეთ მიწის გადასახადიდან. ჩემი გამოცლა „რუსთა-2“-ზე შეეხებოდა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს—მაღალმთიანი რაიონების შეღავათების შესახებ, რომლის მუხლები აუბოქმედებელია. მათ შორის: მთიანი რაიონის პედაგოგებს დღემდე უნდა გაზარდოს ხელფასი 50 პროცენტით, რაიონში არსებული მეწარმეები თუ ფირმები გათავისუფლებულნი უნდა იყვნენ ყოველგვარი გადასახადისაგან. ჩემს გამოცლაში ფინანსთა სამინისტროს დავუსვი კითხვა: როდის უნდა ამოქმედდეს მთიანი რაიონების შესახებ კანონი ყველა მუხლით? სამინისტრომ კითხვაზე პასუხი ვერ გამცა. მაჟორიტარი დეპუტატების უშუალო მოქმედებით ნელ-ნელა კანონი ამოქმედდა.

—თქვენი დეპუტატობის მანძილზე პარლამენტის მიერ მიღებული კანონებიდან რომელს თვლით მნიშვნელოვანად?

—ჩემთვის მნიშვნელოვანია კანონი, რომელიც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობს. მთიანი რაიონების შეღავათების შესახებ კანონი მნიშვნელოვანია, რასაც როგორც ზვეთ აღვნიშნე, მიწის გადასახადიდან გათავისუფლება, ელექტროენერგიის გადასახადის შეღავათები მოჰყვა.

—საუბარი იყო ლაჯანურპისის ხელმძღვანელობის შეცვლაზე. რა მხლდა?

—ეს აზრი მართლაც მუსიერება. გარკვეულ მომენტამდე მეც ვიყავი თანახმა. დღეს სრულყოფილად რომ განახორციელო ორგანიზაციის მართვა, არის თანამდებობები: მენეჯერი, ტექნიკური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, გენერალური დირექტორი. თუ ამ პროცესით გავაღვირვებდი კოლმეტივს შეიძლება მანვე მომავალში იფიქროს ადამიანმა. რაც შეეხება „ლაჯანურპისის“ ახლანდელ დირექტორს, ბატონი მერაბს კარგი, მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტია. არავის უფიქრია მისი გათავისუფლება. ყველა სათვის ცნობილია, რომ ჰესში მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც ფრანგულ ფირმას ჩადებული აქვს 18 მლნ დოლარი. ეს ინვესტიცია ისევ ჰესმა უნდა გაისტუმროს. ამიტომ ორგანიზაციის კოლმეტივის გაძლიერება, მართვის მეთოდების გაუმჯობესება არასდროს არ აწყენს ლაჯანურპისს.

—პატარა რკა ცაგერის სტუმრობისას აკუთხა აღ-

გილი, სადაც ლეჩხუმელთა განბი და სიწმინდე—ღირსი მამა მაქსიმე აღმსარებლის საკათედრო ტაძარი უნდა აშენდეს. აპირებთ გარკვეული წლების შერტანს ამ მართლად საშველიშვილი საქმის კეთებაში?

—ერთუფლეს საკითხია. მე ყოველდღე ვსაუბრობ, ეს დიდი საქმეა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა შესაძლებლობის მქონე პარტია. მატერიალურ თანამდგომასთან ერთად ფიზიკური და მორალური მხარდაჭერაც უმთავრესია. პირველ ეტაპზე პროექტია გასაკეთებელი. მოკლე პერიოდში აღნიშნული საკითხის შესახებ შეგხვდები მის უწმიდესობას.

—ვის მიაჩნებდით ალა-მამადა-ხანის ორდენს საქართველოში?

—საუბედროდ, ალა-მამადა-ხანის ორდენის ლაურეატები მომრავლდნენ საქართველოში. დაკონკრეტებისაგან თავს შევიკავებ. აღნიშნულ ორდენს მივანიჭებ ყველა კორუმპირებულ ჩინოვნიკს.

—თქვენი აზრით, რომელი მოვლენა იყო 2002 წელს ყველაზე მნიშვნელოვანი ლეჩხუმისათვის?

—2002 წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მისი უწმიდესობის და უნეტარესობის ჩამოიბრძანება ჩვენთან. პატრიარქისად თითოეულმა ჩვენგანმა ლოცვა-კურთხევა აიღო... იმ დღეებში დიდი სიხარული, ერთობა იყო ცაგერში. ამასთან მნიშვნელოვანი იყო ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ჩამოიბრძანებაც. იგი პირველად ეწვია ლეჩხუმს უმაღლეს თანამდებობრივ რანგში.

—რადგან ქალბატონი ნინო ასენეთ, ამბობენ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პარლამენტის თავმჯდომარე მშობლიურ ლეჩხუმს მოაშურებს კენჭისყრისათვის. ამას ამბობენ, რომ თქვენსა და ბურჯანაძეს შორის გარკვეული გარიგება შედგება...

—ქალბატონი ნინო მართლაც ღირსეული კანდიდატი იქნება. იგი საქართველოში მეორე პირია, ლეჩხუმელი... თუ პარლამენტის თავმჯდომარეს ლეჩხუმში კენჭისყრის სურვილი ექნება, პირადად მე მივსალამებ.

—ცაგერის რაიონს ახალი გამგებელი ჰყავს. თქვენი დამოკიდებულება ბატონი ზურაბისადმი როგორია?

—მე ჩემი ფუნქცია მაქვს და ვასრულებ. ღმერთია

მოწამე, ხელის შეწყობის მეტს არაფერს გავუკეთებ. ვეფერობ, ორთავეს ერთი სურვილი გვაქვს—რაიონის მდგომარეობის გამოსწორება.

—ბატონო კარლო! თქვენი უახლოესი სამეგობრო წრე პარლამენტში?

—მაჟორიტარი დეპუტატები, კონკრეტულად ვერც ერთს ვერ გამოვყოფ. ჩვენ ერთ გუნდი ვართ.

—როგორი ბაბუა ბრძანდებით?

—საუბრაში ქალბატონი ნინი ჩაერთო და კითხვაზე ასე გვიპასუხა: კარლო არჩვეულებრივი ბაბუა... ჩვენი შვილიშვილი მეორე ბებიასთან და ბაბუასთან იზრდება. პარლამენტიდან კარლო ჯერ შვილიშვილის სანახავად მიდის და მერე ბრუნდება შინ.

—გახტო „ახალი ლეჩხუმის“ მოღვაწეობას რა შეფასებას მისცემდით?

—ჯერ ერთი, არ გაქვთ პირობები. როგორც ვიცი რედაქციის სამუშაო ოთახის საკითხი რამდენიმე კვირაა გადაწყდა. ამასთან საკრებულოებში, მოსახლეობამდე უნდა მივიღოთ პრესა. რეალობის საკითხი უმთავრესია. კრიტიკა აუცილებელია, ოღონდ განსალი კრიტიკა, რომელზეც უნდა რეაგირებდეს დეპუტატიც, რაიონული გამგეობაც...

—ვის დასახლებდით წლის ლეჩხუმელად?

—ლამარა ლეშაშელს, რომელიც უხმაუროდ, უშუალოდ, ყოველგვარი აფიშირების გარეშე ეხმარება რაიონს. ღმერთმა გვიმრავლოს მსგავსი ლეჩხუმელები.

—ბოლოს ბატონო კარლო, გულწრფელად გვიპასუხეთ: ვინ ბრძანდებით თქვენ?

—მე ლეჩხუმზე და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი ვარ. ასევე მინდა გითხრათ, რომ ყველა ჩემი დანაპირობი 100 პროცენტით შესრულდება!

ბვეიმედეებით!

(დასასრული)

გრონერგია, კომუნალური მომსახურება, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტზე ვართ დამოკიდებული და როცა ბიუჯეტს ასე უჭირს, პრეგენიებს მაინცდამაინც ვერ ვახდებთ. სულ რაღაც 194 კაცი-და ღარმა. გასული წლიდან ამ დღემდე 85 ომის ვეტერანი გარდაიცვალა. უმრავლესობა 80 წლის

ასაკისანი არიან, მხელია, მათ ხვალსდღე დღემდე, 4-5 წლის შემდეგ ცხოვრების გაუმჯობესებაზე ესაუბრო.

კიდევ ერთი—ბაგონი სარდონი 2002 წელს ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. ამაზე ჩვენ უკვე ვწერდით.

ყველაზე დიდი სიმდიდრე...

შორიდან ყურმოკრულად ვიციდი მათი უნიკალური ბიბლიოთეკის შესახებ. მოკრძალებულად ვთხოვეთ ჩვენს მასპინძლებს ჩვენთვისაც ეჩვე-

ნებინათ, გაცემული დარჩენით. უდაოდ დიდ სიმდიდრეს ფლობენ.

მიუხედავად იმისა, რომ უანგარობით და პატიოსნებით გიცნობენ, კიდევ რა განსაზღვრებით ვკითხეთ. „სამივე შეიღებს სკოლაში ქების სიგელს რომ გადასცემდნენ დამსახურებულად, მათზე კარგს რომ გვეცოდნენ, ეს იყო ჩვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე—ერთხმად მიპასუხეს.

...და კიდევ ორმოცდაათი წელი რომ ასეთი სიყვარულით, სითბოთი და ურთიერთგაგებით გაპყვები წუთისოფლის ბილიკებს, ალბათ ესეც უას-

დაუღებელი სიმდიდრეა.

ბოლოთქმა

სამახსოვრო სურათები გადავიღეთ. მშვენიერ მასპინძლებსაც დავეშვიდობეთ. დადებითი სხივი გამოგვყვა. ისეთი, რომელსაც განათლებული, ინტელექტუალური, თავმდაბალი ადამიანები ასხივებენ.

გვინდა ხმამაღლა, გულახდილად გითხრათ: თქვენ და თქვენი ოჯახი ლენხუმს ეიმედებით! მარინა სპანია

ჰუმანიტარული ექსპედიციის ცაგერში



„თვალს სვამს და თვალს ქამს“—ნათქვამია. თვალი გახლავთ სწორედ ის უფაქიზესი და უმთავრესი ორგანო, რომელიც ადამიანს სრულფასოვნად აგრძნობინებს თავს, თუმცა ისიც ცნობილია, რომ იგი ადვილად ზიანდება და მისი მკურნალობისთვის დახვეწილი ხელი და გონიერებაა საჭირო და არც იმ ადამიანების რიცხვია ცოტა, რომლებიც თვალს უჩივიან.

უკვე მეორე წელია, ცაგერის რაიონში, ამერიკელი და ქართველი ექიმებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციების თაოსნობით ტარდება ოფთალმოლოგიური გასვლითი ექსპედიციები, რომლის მიზანია რაიონის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის უფასო ოფთალმოქირურგიული დახმარების გაწევა—კატარაქტას ოპერაციის სახით; ექსპედიციების მიზანია, აგრეთვე, ადგილობრივი ოფთალმოლოგიური სამსახურის თანადგომა და გაძლიერება ქვეყნისათვის ესოდენ რთულ ეკონომიურ სიტუაციაში.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, კატარაქტა (ანუ თვალის ბროლის შემღვრევა) არის მიზეზი მსოფლიოში თითქმის 16 მილიონი ადამიანის დაბრმავებისა. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, რადგანაც მოსახლეობის ძირითად მასას არ შესწევს უნარი გადაიხადოს ოპერაციის საფასური (საქართველოს პირობებისათვის 150-დან 400 დოლარის ექვივალენტური თანხა). ამის გამო წლიდან წლამდე სიბრძნის საერთო მაჩვენებელში ხდება კატარაქტით დაბრმავებული რიცხვის აკუმულირება. შესაძლებელია, პროგრამის პირველი ეტაპზე ცაგერის რაისადამფოფოში და ლაქანის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანებაში მოხდა 700-ზე მეტი პაციენტის პირველადი გასინჯვა (ყველაფერი უფასოდ). აქედან 12,85%-ს აღმოაჩნდა საოპერაციო კატარაქტა, ხოლო დაახლოებით 25%-ს ჯერჯერობით არა საოპერაციო კატარაქტა. გადარჩეულ საოპერაციო კონტინგენტში ძირითადი მასა 60 წელსე გადაცილებული პაციენტები არიან. ეს მოსახლეობის სწორედ ის კატეგორიაა, რომელიც განსაკუთრებით განიცდის სოციალურ კრიზისს.

ჰუმანიტარული ექსპედიცია ძირითადად აფინანსებულია LSD Charities-ის მიერ ამერიკელი მხრიდან, ხოლო ქართული მხრიდან—ასოციაცია „ახალი სამეცნიერო ტექნოლოგიები და ორგანიზაციული მიდგომები ქართულ მედიცინასა და მოსახლეობას“.

ორგანიზაციული კორდინაცია ამერიკული მხრიდან განხორციელებულია—ამერიკის საერთაშორისო დახმარებისა და განვითარების სააგენტოს (IRD-ის) მიერ. ადგილობრივი კოორდინაცია ხორციელდება—1. ნევროლოგიისა და ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრის (ხელმძღვანელი—პროფ. ა. ბერაძე), 2. ასოციაცია—„ახალი სამეცნიერო ტექნოლოგიები და ორ-

განიზაციული მიდგომები ქართულ მედიცინასა და საზოგადოებას“, 3. ცაგერის რაისადამფოფოს (ხელმძღვანელი—მ. თოთაძე) და მისი ქირურგიული განყოფილების (ხელმძღვანელი—ა. ლუაფაშვილი) 4. ლაქანის საავადმყოფო-ამბულატორიული გაერთიანების (ხელმძღვანელი—ზ. ახვლედიანი) მიერ. ექსპედიციების წარმატებით განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ქალბატონებს ნატა ყაზახაშვილს, ქეთევან კავთიაშვილს, ეთერ ბაბლუანს, მზია ფალავანდიშვილს.

ქალბატონი ეთერის მონაწილეობა პირველი არ გახლავთ ასეთ საქველმოქმედო საქმიანობაში, იგი არა მარტო კარგ ექიმად, არამედ საკმაოდ აქტიურ ქალბატონად არის ცნობილი ჩვენს რაიონში, რითაც დიდ მადლიერებას იმსახურებს.

ქალბატონი მზია კი ერთადერთი და გამოცდილი თვალის ექიმი გახლავთ ცაგერში, რომლის იმედიც ყოველთვის აქვთ მის პაციენტებს.

LSD Charities-ს და IRD-ს შორის არსებული თანამშრომლობა ხორციელდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის უშუალო მეთვალყურეობით. ამ თანამშრომლობის შედეგად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში 60000 მეტმა სოციალურად დაუცველმა პირმა მიიღო ჰუმანიტარული დახმარება და 75000 მეტმა პაციენტმა ისარგებლა უფასო მედიკამენტებითა და სამედიცინო დახმარებით IRD-ს პარტნიორულ სამედიცინო დაწესებულებებში.

ლენხუმში განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ცაგერში 6-9 იანვარს ჩამოსული იყო ცნობილი ამერიკელი ოფთალმოქირურგი ბატონი მაიკლ დაფინი.

მისი ხელმძღვანელობით 7 და 8 იანვარს, ცაგერის რაისადამფოფოში გავეთა 22 ოპერაცია კატარაქტის ექსტრაქციის გამო. აქედან 17 ოპერაცია გავეთა ხელოვნური ბროლის გადანერგვით.

აღსანიშნავია, რომ ამ ექსპედიციის მეგზური და თანამონაწილე გახლდათ ბატონი კახა სილაგაძე, რომელიც ჩვენს სამაჟოლ ლენხუმელია. იგი ამჟამად თბილისში მოღვაწეობს და ფრიალ წარმატებული ოფთალმოლოგია. კახა ახლაც განაგრძობს ცაგერში პაციენტების მიღებას და უკმაყოფილოს უკან არავის უშვებს, რითაც უკვე დაიმკვიდრა გულსიმძიერი და ყურადღებიანი ექიმის რეპუტაცია.

ბატონი მაიკლ დაფინი არის სამხრეთ კალიფორნიის თვალის სპეციალისტი კლინიკის დირექტორი. მისი სპეციალიზაცია კატარაქტის ქირურგია და რკივანას გადანერგვა. იგი არის კალიფორნიის ოფთალმოლოგიური აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, ამერიკის ოფთალმოლოგიური საბჭოს წევრი, გახლავთ საერთაშორისო სამედიცინო ქირურგიული ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრი და ანალოგიური ოფთალმოქირურგიული ექსპედიციები აქვს განხორციელებული 15 ქვეყანაში.

ბატონი მაიკლს თან ახლდა მისი მეუღლე ქალბატონი გაიე დაფინი, მათ მშვენიერი ოჯახი აქვთ,—უთო შვილი და შვილიშვილები ჰყავთ.


ჩამოვამხატველ ექიმებს შეხვედრათ ცაგერის რაიონის გამგებელთან ბატონ ზურაბ ხეცურიანთან, რომელმაც დიდი მადლიერება გამოთქვა მათი მისამართით ესოდენ რთულ პირობებში თანადგომისათვის და მაიკლ დაფინს საპატიო სიგელი გადასცა, თანაც მოიწვია ჩვენს ტრადიციულ დღესასწაულზე—ცაგერობაზე.

თავის მხრივ მაიკლ დაფინმა და მისმა მეუღლემაც სტუმართმოყვარე და გულბოლ ადამიანებად შეაფასეს ლენხუმელები, ლენხუმური და საერთოდ, ქართული სამზარეულო კი შესანიშნავად, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ მოსკოვში ჟოფნის დროს შეუტყვია ბატონ დაფინს.

ჩვენ იმედ გვაქვს მათი ცაგერობაზე ჩამოვრჩენებისა, რათა უკეთ გაეცნონ ლენხუმის იმ ღირსებებს, რასაც ამ ხანმოკლე, საქმიანი ვიზიტისას გადაავლეს თვალი

თამარ ლაბითულიანი

სავანძურის, რომელიც არ ყვირი



გმისპირზე მდგარი მეუღლე სახლი თავისი მშვენიერებითა და მოკრძალებული დიდებულებით თითოეული გამგელის ყურადღებას იპყრობს. ჩემი თვალთ არაერთხელ ნანახმა, აღფრთოვანებამი მომყვანმა ინტერიერმა კიდევ ერთხელ მიმიზიდა და იქაურობის დასათვალისწინებლად შემეპატივა.

ხელოვნების ნიმუშების მარმი ხის ჭიმკრიდანვე იგრძნობა, გრძელ, გაწკრივებული მამთრის ეზოს კი სახლამდე მივყავართ, რომლის აივნებიდან ნატიფი, ხელთნაკეთი ჩუქურთმები იცქირება—მუზეუმი—ასე ვუწოდებდი მე იმ სახლს, რომელიც ახლო წარსულში ცნობილ ხელოსანს ბატონ ალექსანდრე ნემსიწვერიძეს ეკუთვნოდა, დღეს კი მისი შთამომავლების საკუთრებაა.

ალექსანდრე ნემსიწვერიძე 1914 წელს ბარნალაში დაიბადა, რვა კლასის დამთავრების შემდეგ იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა და სამუშაო ეძებნა, რამეთუ უფროსი შვილი გახლდათ და ოჯახის რჩენას უკვე საკუთარ მოვალეობად თვლიდა. ხელოსნობა ილარიონ ხეადაგიანმა შეასწავლა, რაც ლუკმა პურის გაჩენის შესანიშნავ წყაროდ ექცა. თავისუფალ დროს კი საგანში აგარებდა, კვეთდა ხეზე, ქვაზე, ლითონზე, მარმარილოზე. შესრულებული აქვს არაერთი ნამუშევარი, მათ შორის: „ლალო ასათიანი“, „წმინდა გიორგი“, „ლაქანურპის ხედი“, როგორც მისმა ქალიშვილმა ქალბატონმა ნათელამ მითხრა, ბატონი ალექსანდრე განსაკუთრებით „ეფუხისკაოსნით“ ყოფილა გატაცებული, მეპირად იცოდა თითქმის მთელი პოემა—გარიელი, ნესტანდარეჯანი, სხვადასხვა ფრაგმენტები ნაწარმოებიდან, რომლებიც გილოზე თუ ხეზე არის შესრულებული.

თითქმის ყველა ნამუშევარი ნახევარ საუკუნეს ითვლის, 1952 წლით თარიღდება თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ხეზე ამოკვეთილი, მოჩუქურთმებული პორტრეტები, გაუხუნარი, ხალასი, საოცრად შეხამებული ფერები, ხისგან ნაკვეთი ჩარჩოები, რომლებიც ნახაგების გარეშე კი შეიძლება თამამად ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშებად, აქვე შეხვდებით ილია ჭავჭავაძის ორ, თითქმის იდენტურ პორტრეტს, მარმარილოსა და ხეზე შესრულებულს.

ერთხელ დედაქალაქიდან ჩამოსულ სკუმარს, რომელიც „ლალოთი“ ფრიალ აღფრთოვანებულა, მხაგრისათვის დიდი თანხა

შეუძლეოდა, მაგრამ ბატონი ალექსანდრე ვერ შელევია, მაშინ მეორე მაინც დამიგახეო, უთხოვია სკუმარს—გამეორება“ არ შემიძლიაო, უპასუხია მას.


მთელი ცხოვრება გვერდით ერთგული მეგობარი და ღირსეული მეუღლე, ქალბატონი ნინა მეშველიანი ედგა. „ხანდახან, როცა თავისი ძირითადი სამუშაოთი დაღლილი, ხატვას დაიწყებდა, დედა ეცოდა—ახლა მაინც დაისვენე ცოტა,—სწორედ ახლა ვისვენებ მე ყველაზე კარგად—უპასუხებდა მამა—“მითხრა ქალბატონმა ნათელამ, რომელმაც თბილისი, სადაც 17 წლიდან ცხოვრობდა დაგოვა და ამ სახლ-მეშველის მოსახელად ლენხუმს მოაშურა, მანამდე ხომ ამ საქმეს მისი და, აწგარდაცვლილი ქალბატონი გუგული შესანიშნავად აკეთებდა.

ბატონი ალექსანდრეს ორი ვაჟი პოვარდი და მურაბი თბილისში მოღვაწეობდნენ. ორივეს მამის ნიჭი თან დაჰყოლია და ღირსეულად აგრძელებენ მამისეულ გრადიციას. პოვარდი სამხაგვრო აკადემია დაამთავრა. რამდენიმე მხაგვართან ერთად შესრულებულმა მისმა ნამუშევარმა „სიოცხლის ხე“ საფრანგეთში დიდი წარმატება მოიპოვა, წარმატებას მიაღწია მან მოსკოვშიც. ქალბატონი ნათელა ცდილობს აქედან შეუწყოს ხელი ძმებს.

ბატონმა ალექსანდრემ შეიღებს დაუგოვა დიდი საუნჯე. ისინიც დაჰფრთხილნენ თითოეულ ნივთს და თავიანთი ახალი ნამუშევრებით ამდიდრებენ ამ უზადო კოლექციას.

შემთხვევითი არა რის რომ ნემსიწვერიძეების ოჯახს საახალწლოდ მივაკითხეთ, დიდი სურვილი გაგვანია რომ აქაური სასიამოვნო გარემო თქვენთვის გაგვეცნო და გაგვეღვიძებინა ბევრში მიძინებული ხელოვნების გრფიალი, იქნებ ლენხუმელმა ახალგაზრდებმა თავისი ძალაც მოსინჯონ ამ საქმიანობაში და მათი ნამუშევრები მომავალში შედევრებად კი იქცეს.

თამარ ლაბითულიანი



საქართველოს პრეზიდენტის

განკარგულება

კულტურის სფეროს მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში პოპულარიზაციისა და ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდა-განათლების მიზნით დიდი წვლილი შეიტანა, მადალი პრიფესორ ნალიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის კულტურის სფეროს მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით: შურა ნემსიწვერიძე—ცაგერის საბავშვო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი. 2002 წლის 20 დეკემბერი

ჩვენი გაზეთი გულთადად ულოცავს ქალბატონ შურა ნემსიწვერიძეს საპატიო ჯილდოს და კვლავ წარმატებებს ვუსურვებთ.

შეხვედრა ხაორტკომიტეტში

(დასასრული)

ლის შექმნა წლების განმავლობაში ვერ შეძელით. მომავალში იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ოსტატები უფრო ენერგიულად გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას მოსწავლეებთან ერთად. ასევე დიდი სურვილი გვაქვს, რომ ჩამოყალიბდეს მკლავები-

დის კლუბი.

ბატონი გიორგი იმ პრობლემებსაც შეეხო, რომელიც უახლოეს ხანში გადასაჭრელად მიაჩნია. ეს პირველ რიგში სპორტული ბაზის, კერძოდ, სპორტდარბაზის ავარიული მდგომარეობაა. ეს შენობა თავიდან ჩვეულებრივი კომუნალური ბინა გახლდათ. შემდეგ სპორტის მესვეურების მიერ სპორტულ დარბაზად გადაკეთდა. კარგად გვეხმარება, რომ ძნელია ფიქრი ახლის შენებაზე, მაგრამ რაც გვაქვს იმას მაინც მოუვაროთ. შენობა თითქმის თავიდანაა გადასასხურავი. ჭერი ჩამოგრებულია.



დიდი რისკის ქვეშ ვიმყოფებით, როცა ბავშვები შემოდიან და ვარჯიშობენ. შესაძლებელია, რომ რაიონში შეიქმნას ფონი და თუნდაც მიზეზი თანხა ჩაირიცხოს, რომლის საშუალებითაც გახდება ამ დარბაზის გარემონტება.

ასეთივე პრობლემის წინაშე დგას ფეხბურთის სტადიონი, რომელიც უნიკალურია მთელ რესპუბლიკაში, მაგრამ ჩვენ ვერ ვუფრთხილდებით. აუცილებელია მისი შემოღობვა იმ მხრიდან, საიდანაც მოსახლეობა ესაზღვრება. გასაყვებელია საფეხურებრივი ტრიბუნები. ანალოგიური მდგომარეობაა სოფელ ლაჩანაში, სადაც საუკეთესო საფეხბურთო სტადიონია, მაგრამ ხარჯების გამო ვეღარ ვაქცევთ ყურადღებას.

სპორტის მართვის ერთიანი სისტემა შემოიღოს რესპუბლიკაში. სპორტსკოლა განათლების განყოფილებას ეკუთვნის. ძირითადად, ეს რგოლი აგებულია ინვენტარზე, ჯერ-ჯერობით კი ერთი ლარი არ მიუღიათ. შესაძლებელია, რომ ცალკე მუხლად იქნეს გათვალისწინებული სპორტსკოლის დაფინანსება.

ჩვენ მოვამზადეთ წერილი ლეჩხუმიდან წასულ პაროვნებთან — აღნიშნა ბატონმა გიორგიმ — შევხვედით პარლამენტში დეპუტატს, კარგად მოუყვანინა, მუხრან მღვიანს, ავთანდილ სილაგაძეს და დანამარებს შეგპირდნენ. ცოტ-ცოტა ინვენტარი უკვე გამოგვიგზავნეს მალხაზ შეტუბლიანმა და თემურ ყურაშვილმა.


თავიანთ პრობლემებზე ისაუბრეს და აზრი გამოთქვეს სპორტსკოლის წარმომადგენლებმა.

ვახტანგ მუშუდია — მოხარული ვარ, ბატონო ზურაბ, რომ აქ იმყოფებით. უკვე 7 წელია გამგებელთან საქმიანი შეხვედრა არ გვქონია. თქვენ მობრძანდით და გვწამს, რომ გვერდში დაგვიდგებით. ათი წელია ერთი ლარის ღირებულების ნივთი არ შეგვიძენია, ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა, რომ განათლების განყოფილებაში ინვენტარის შესაძენად იქნეს მუხლი შეტანილი. თუკი ჩვენი დაფინანსების პრობლემა მოგვარდება ერწმუნეთ, რომ ყველაფერს გადავკეთებთ რაიონის სახელისათვის.

თამაზ სალინაძე — სპეციალური ჯგუფიანი მოედნის არქონა ჩვენს მუშაობას ძალიან აფერხებს. ეს საკითხი თუკი დადებითად გადაწყდება, ჩვენ თბილისსაც არ ჩამოვრჩებით თამაშში.

პორფირე კოპალიანი — კარგი იქნება თუ ჩვენ სტადიონზე დარაჯის საკითხი გადაწყვეტილია, რადგან უყურადღებოდ მიტოვებულ მოედანს მოსახლეობა ანადგურებს.

პარლამენტის ბიუროს თავმჯდომარე შალვა ცვირიანი — არის დიდი პოტენციალი და ნაკლები შესაძლებლობა. ძალიან კარგი იქნებოდა თუ რაიონში შეიქმნება სპორტის საზოგადოება, სადაც გაწევრიანდებიან სურვილისამებრ პიროვნებები და მოხერხდება ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება.



საუბრის ბოლოს სიტყვით გამოვიდა რაიონის გამგებელი ზურაბ ზეცურია — „პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავხადოთ მოწვევისათვის. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში. მე ბევრჯერ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ყველა ლარი მიზნობრივად უნდა იქნეს გამოყენებული ნებისმიერ სფეროში. ვილწვი იმისათვის, რომ როგორმე რესპუბლიკურ ტრანსფერში გამოზარდოს თანხა. არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს ის, რომ ორბელის საკრებულომ 200 ლარი გაიღოს სპორტული მოედნისათვის. გაეარკვეთ სოფლებში რა სახის სპორტული ბაზები არსებობს, რომელთა მოვლა და ყურადღების მიქცევა დაევალება თვით ადგილობრივ საკრებულოებს. შესაძლებელია, რომ სტადიონს ხელშეწყობით ჰყავდეს დარაჯი, რაც შეეხება სპორტდარბაზის ავარიულ მდგომარეობას გეტყვით და მთელი პასუხისმგებლობით გაირიდებით, რომ ზაფხულში თქვენ გადმოგვცემთ 8.000 ლარი, რომელიც მოხმარდება შენობის კაპიტალურ შეკეთებას. ასევე მომავალში მომზადდება მიმართულებით სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობისთვის.“

დასასრულს, ბატონმა ზურაბმა სიტყვები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა სპორტის ოსტატებს თამაზ სალინაძეს, პიროფირე კოპალიანს და ნურე ზეცურიას.

მემა ჰვირილიანი
მარინა სვანიძე

სპორტი

რაიონის სპორტკომიტეტთან შეხვედრა სპეციალურმა კომისიამ შეაჯამა რაიონის 2002 წლის სპორტული შედეგები

დასახელდა რაიონის 2002 წლის სპორტის ლაურეატები.

— საუკეთესო სპორტსმენი — დათო ლიპარტელიანი (ფრენბურთი) ალფავიტის მიხედვით საუკეთესო ათეულში

მოხვდნენ:

თემურ ახვლედიანი (ფეხბურთი)

გიორგი ახვლედიანი (ფეხბურთი)

თორნიკე ბურჯალიანი (თავისუფალი ჭიდაობა)

ზვიად ბურჯალიანი (თავისუფალი ჭიდაობა)

მალხაზ მახაროვლიძე (თავისუფალი ჭიდაობა)

მამუკა მუშუდია (ფრენბურთი)

შაკა მეგრელი (ქართული ჭიდაობა)

ოთარ სალინაძე (ფრენბურთი)

გიორგი სილაგაძე (ფეხბურთი)

— საუკეთესო მწვრთნელად და-

სახელდა — ალუდა სილაგაძე (თავისუფალი ჭიდაობა).

— საუკეთესო გუნდის სახელი მოიპოვა „ხვამლის“ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა.

— საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენის სახელი მოიპოვა — თენგიზ სალინაძემ.

— საუკეთესო ფიზ-ალზრდის პედაგოგად დასახელდა ჯოკია შეტუბლიანი.

„ხვამლი“ ლიდერთა შორის

მიუხედავად სიძნელებისა, რაიონის სპორტულ ცხოვრებაში დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს ბავშვთა ფეხბურთის აღორძინებისათვის წინადადებული ნაბიჯები. რაიონის სპორტკომიტეტის და განათლების განყოფილების საერთო ძალისხმევით ბავშვთა ლიგის საქართველოს პირველობის ზონალურ გათამაშებაში 1987 წელს დაბადებულ მოსწავლეთა შორის რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის 16 გუნდს შორის წარმატებით ასპარეზობს ცაგერის „ხვამლის“ ფეხბურთელთა გუნდი. მასთან ერთად ასპარეზობენ ქუთაისის გუნდები: „ტორპედო“, „დინამო“, „მარტვე“-1,

„იმერეთი გორა“, „ტორპედო“

— 87“, „მარტვე“-2“, „იმედ“,

„კოლხიდა“-1, „კოლხიდა“-2, „იმერეთი“, ზესტაფონის „შეგარდენი“,

სამტრედიის „ლოკომოტივი“, ჭიათურის „მალაროელი“, საჩხერის „მარტვე“, ვანის „მარტვე“. I წრის

15 — ჩატარებულ შეხვედრაში ასეთი შედეგები დაფიქსირდა:

„ხვამლი“ — „იმედ“ 2:1

„კოლხიდა“-2 — „ხვამლი“ 2:2

„ხვამლი“ — „მარტვე“-2 3:0

„შეგარდენი“ — „ხვამლი“ 3:0

„ხვამლი“ — „მარტვე“ საჩხერე — 1:0

„დინამო“ — „ხვამლი“ 2:0

„ხვამლი“ — „ტორპედო“ 0:1

„ლოკომოტივი“ — „ხვამლი“ 0:1

„ხვამლი“ — „იმერეთი გორა“ 3:1

„ხვამლი“ — „მარტვე“ ვანი 3:0

„ტორპედო“-87 — „ხვამლი“ 3:0

„მალაროელი“ — „ხვამლი“ 2:3

„ხვამლი“ — „იმერეთი“ 2:0

„კოლხიდა“-1 — „ხვამლი“ 2:1

„ხვამლი“ — „მარტვე“-1 3:0

I წრის შემდეგ „ხვამლი“

(მწვრთნელი: პორფირე კოპალიანი) ლიდერთა ჯგუფშია და გვევრება მომავალშიც კარგი თამაშით გაახარებს რაიონის ფეხბურთის გულშემატკივრებს.

ქების სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ გუნდის წევრები ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეები: ძმები ლევან და ნოდარ ზეცურია-

ნები, გუნდის კაპიტანი გიორგი ახვლედიანი, გიორგი ბახსოლიანი, დავით კვირიკაშვილი, თემურ ახვლედიანი, გიორგი კვირიკაშვილი, ვასო ნემსიწვერიძე, გიორგი სილაგაძე, ჭაბუკა ბურჯალიანი, ვეგო ყურაშვილი, დათო თოთაძე, თეიმურაზ სილაგაძე, ქვ. ცაგერის საშ. სკოლის მოსწავლეები: ნოდარ სალინაძე, გიორგი შეტუბლიანი, დათო ფუტკარაძე.

გუსურვებთ წარმატებებს ჩვენს გუნდს.

სპორტკომიტეტის თავ-რე:

გიორგი კვირიკაშვილი



გილორჯაძე!

მარინე სალინაძეს, თამაზ ზეცურიას!

მოგილორჯავთ ზედნიერებას. გფარავდეთ სიყვარულის ძალი და ძაღლი.

ზიფიკო, შურა მკუბლიანები ოჯახებით.

აკურსი ლეთოფიანს

გილორჯაძე მვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ჯანმრთელი და სასახელო ქალი.

წვერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები.

ზურაბ ლაკვესელიანი

30 ნოემბრის ტრაგედია, რომელსაც შენი სიკვდილი ჰქვია, ჩემი სამუდამო ტკივილია. მუდამ შენს მოლოდინში ვიყავი — როდის შემთავლებდი ჩემს კარს და თითქოს ქვეცნობიერად გვრძნობდი, რომ სულ მალე ჩვენთან აღარ იქნებოდი. ეს ასეც მოხდა... წაზვადი ჩვენგან სულით და გარეგნობით ლამაზი ბიჭი და დამიტოვე შენზე ფიქრით, მონატრებით საგსე ცრემლმუეშრობელი დღეები. უკვე ერთი წელიწადი გასულა...

შენთვის დანთებული სანთლები იწვიან. შენს სახელზე ჩვენთან ერთად ისინიც იტანჯებიან. ასეთი ყოფილა შენი და ჩვენი ბედისწერა. ასე გვევლინა დედაშენისა და გამზრდელი დეიდებისგან ანთებულ სანთლებს სხვა მადლი აქვს. დათო და გოგიტა, შენი დეიდაშვილები შორეულ ქვეყნებში დაატარებენ უშენობის სევდას. ჩვენ ვსტუმრობთ შენს საფლავს და ამასღა ვნატრობთ — მსუბუქი იყოს ის მიწა, რომელმაც საუკუნოდ ჩაგვიკრა გულში.

შენი დეიდა ციცო შოთაშვილი.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და

ოფსეტური წესით დაიბეჭდა

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის

ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 7-07-80, 7-34-99

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და

ოფსეტური წესით დაიბეჭდა

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის

ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 7-07-80, 7-34-99

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და

ოფსეტური წესით დაიბეჭდა

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის

ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 7-07-80, 7-34-99

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და

ოფსეტური წესით დაიბეჭდა

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის

ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 7-07-80, 7-34-99

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და

ოფსეტური წესით დაიბეჭდა

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის

ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 7-07-80, 7-34-99

რედაქტორი

თამარ

დავითშვილიანი

პასუხისმგებელი

მლიშანი

მეშვიძე

ანელიაძე

სარედაქციო გოლეგია:

მემა ჰვირილიანი,

მარინა სვანიძე,

მემა გენდელიანი.

მისამართი:

ცაგერი, რუსთაველის

№47. ტელ: 22-86

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და

ოფსეტური წესით დაიბეჭდა

ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის

ს/ს „სტამბაში“

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 7-07-80, 7-34-99